საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №177/ნ

2012 წლის 10 სექტემბერი

ქ. თბილისი

„უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების (ვებგვერდი, 110725031, 28.07.2011, სარეგისტრაციო კოდი 430210000.22.022.016163) პირველი პუნქტით დამტკიცებულ „უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის ფორმის” (დანართი №1) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

,,7. ამ ბრძანების ამოქმედებამდე გაცემული დიპლომი/დიპლომის დუბლიკატი, რომელიც არ აკმაყოფილებს დიპლომის/დიპლომის დუბლიკატის გაცემის დროისთვის დამტკიცებულ დიპლომის/დიპლომის დუბლიკატის ფორმას, თუმცა შესაბამისობაშია ამ დანართის მე-2 და მე-3 მუხლებთან, ჩაითვალოს ამ ბრძანების შესაბამისად გაცემულად.“

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხ. დეკანოიძე